

„დამტკიცებულია“
წევრთა ყრილობის 25.09. 2015 წლის გადაწყვეტილებით

ააიპ „საქართველოს კინოაკადემია“

წ ე ს დ ე ბ ა
(ახალი რედაქცია)

თ ბ ი ლ ი ს ი
2015

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. ააიპ „საქართველოს კინოაკადემიის“ სრული სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს კინოაკადემია“ (ყოფილი ააიპ „საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი“) (შემდგომში „კინოაკადემია“).
- 1.2. კინოაკადემია არის შემოქმედ მუშაკთა - კინოხელოვანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება (კავშირი), რომელიც თავის რიგებში აწევრიანებს პროფესიონალ კინემატოგრაფისტებს და მიზნად ისახავს ქართული კინემატოგრაფიის განვითარებას და პოპულარიზაციას, შემოქმედებითი პროცესების კვლევის ხელშეწყობას, გაერთიანების წევრთა საერთო კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვას, სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობის განხორციელებას.
- 1.3. კინოაკადემია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და ამ წესდების შესაბამისად.
- 1.4. კინოაკადემია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
- 1.5. კინოაკადემიას აქვს საკუთარი ბალანსი, ანგარიში ან ანგარიშები ბანკში და ბეჭედი. კინოაკადემიას შეიძლება ჰქონდეს დაწესებული ემბლემა და სხვა ატრიბუტიკა.
- 1.6. კინოაკადემია არის შემოქმედებითი გაერთიანება და მისი საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- 1.7. კინოაკადემია უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნას ფილიალები (ადგილობრივი ორგანიზაციები).
- 1.8. კინოაკადემიას უფლება აქვს განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და მისი წესდებით ნებადართული ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის, უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას საწესდებო მიზნებისათვის, საჭიროების შემთხვევაში - აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების საფუძველზე.
- 1.9. კინოაკადემიის შექმნისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპია ნებაყოფლობითობა, წევრთა თანასწორუფლებიანობა, თვითმმართველობა, კანონიერება და საჯაროობა.
- 1.10. კინოაკადემიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №2.
- 1.11. კინოაკადემიის ელექტრონული ფოსტის მისამართია: geofilmacademy@gmail.com

მუხლი 2. კინოაკადემიის მიზნები და ამოცანები

- 2.1. კინოაკადემიის საქმიანობის ძირითადი მიზანია ქართული კინემატოგრაფიის განვითარება და პოპულარიზაცია, ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებაში ეროვნული კინოს პრესტიჟის ამაღლება.
- 2.2. კინოაკადემია პოპულარიზაციას უწევს ქართულ კინოს, როგორც ქართული კულტურის შემადგენელ ნაწილს და ხელს უწყობს საზოგადოების ინტერესის გაღვივებას ქართული

ეროვნული კინოსადმი, ზრუნავს ეროვნული კინომემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციაზე.

2.3. კინოაკადემია იცავს თავისი წევრების ინტერესებს; საკუთარი კომპეტენციის და შესაძლებლობის ფარგლებში, კინოაკადემიის წევრებს უქმნის პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საჭირო პირობებს, შეძლებისდაგვარად ზრუნავს კინოაკადემიის წევრთა მატერიალურ, სოციალურ მდგომარეობაზე და უწევს მათ საქველმოქმედო დახმარებას.

2.4. საწესდებო მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად კინოაკადემია კანონით დადგენილი წესით:

ა) იცავს კინოაკადემიის წევრების საავტორო და სხვა უფლებებს, შემოქმედებით თავისუფლებას და ინტერესებს;

ბ) ხელს უწყობს კინოაკადემიის შემადგენლობაში შესაბამისი შემოქმედებითი პროფესიების კვალიფიციურ წარმომადგენელთა გაწევრიანებას და მათ შემოქმედებით ზრდას;

გ) იკვლევს და აანალიზებს დარგის განვითარების ტენდენციებს, ზრუნავს ეროვნული კინოს პოპულარიზაციაზე;

დ) არჩევს და გამოავლენს საუკეთესო ნამუშევრებს სხვადასხვა კატეგორიებში, აწესებს პროფესიული ჯილდოებს და ადგენს კინემატოგრაფისტებისთვის პროფესიული ჯილდოების მინიჭების წესს და კრიტერიუმებს;

ე) ორგანიზებას უწევს და ატარებს დაჯილდოების გალა ცერემონიას;

ვ) არჩევს და რეკომენდაციას უწევს ეროვნულ ფილმებს საერთაშორისო კინოფესტივალებზე, ასევე უცხოური კინოაკადემიების ჯილდოებზე წარსადგენად;

ზ) ახორციელებს დარგში არსებული პრობლემების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გადაჭრის თაობაზე;

თ) შეიმუშავებს და სათანადო სახელმწიფო სტრუქტურებს წარუდგენს წინადადებებს კინოწარმოების და შემოქმედთა საავტორო უფლებების დაცვის მარეგულირებელ მოქმედ ნორმატიული აქტებთან და/ან საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით;

ი) მხარს უჭერს დარგობრივი განათლების განვითარებას და სრულყოფას;

კ) ორგანიზებას უწევს და ატარებს მასტერკლასებს და ტრეინინგ პროგრამებს კინოს სხვადასხვა სფეროში მომუშავე პროფესიონალების, განსაკუთრებით ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ლ) ხელს უწყობს ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა პროფესიულ დაოსტატებას, მხარს უჭერს მათ შემოქმედებით ინიციატივას და მხატვრულ ძიებებს;

მ) პარტნიორულ ურთიერთობებს ამყარებს სხვადასხვა ნაციონალურ, ევროპულ და ამერიკულ კინოაკადემიებთან და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს სხვადასხვა შემოქმედებით და საგანამნათლებლო პროექტებს;

ნ) თანამშრომლობს ევროპული კინოაკადემიის საერთო ინსტიტუციასთან;

ო) ორგანიზებას უწევს და/ან მონაწილეობს ფესტივალების ჩატარებაში;

პ) ატარებს სხვადასხვა სახის კულტურულ, შემოქმედებით და საქველმოქმედო ღონისძიებებს;

ჟ) ხელს უწყობს კინომემკვიდრეობის დაცვას, ეროვნული კინოარქივის შექმნას, კინოექსპონატების თავმოყრის მიზნით ქმნის სამუზეუმო სივრცეს და უზრუნველყოფს პერიოდული ექსპოზიციების მოწყობას;

რ) თანამშრომლობს სხვა ეროვნულ და ევროპულ კინოაკადემიებთან ევროვნული და ევროპული კინოარქივის შექმნის ხელშეწყობის მიზნით;

ს) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ზრუნავს ქართული ფილმების და მათთან დაკავშირებული საავტორო უფლებების დაცვაზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;

ტ) ქართული კინოს ისტორიისა და აქტუალური ტენდენციების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით ქმნის კინოპორტალს, ვებგვერდს ინტერნეტსივრცეში, ამზადებს პერიოდულ ბეჭდურ გამოცემებს, მათ შორის საკუთარი საგამომცემლო საქმიანობის ფარგლებში;

უ) პერიოდულად ანსაჯაროებს ინფორმაციას კინოაკადემიის საქმიანობის შესახებ.

2.5. კინოაკადემიას უფლება აქვს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წინადადებით და რეკომენდაციებით მიმართოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს კინემატოგრაფიის განვითარების, აგრეთვე შემოქმედ მუშაკთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის საკითხებზე.

მუხლი 3. კინოაკადემიაში გაწევრიანების და წევრობიდან გასვლის წესი

3.1. საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის ააიპ „საქართველოს კინოაკადემიის“ წევრი შეიძლება გახდეს პროფესიონალი კინემატოგრაფისტი, რომლის საქმიანობა ატარებს ინტელექტუალურ-შემოქმედებით ხასიათს და ამ საქმიანობის შედეგად იქმნება ხელოვნების ნაწარმოები ან ხდება მისი ინტერპრეტაცია. ამასთან, პირი უნდა აღიარებდეს კინოაკადემიის წესდებას და შეჰქონდეს წვლილი ქართული კინოკულტურის განვითარებაში.

3.2. კინოაკადემიის წევრობის მსურველს უნდა ჰქონდეს პროფესიული მუშაობის გამოცდილება. ამ წესიდან დასაშვებია გამონაკლისი, თუ კინემატოგრაფისტის პირველი ნამუშევრები ქართული კინოს მნიშვნელოვან მოვლენად იქცა.

3.3. კანდიდატის კინოაკადემიის წევრად მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კინოაკადემიის მმართველი ორგანო - გამგეობა, მიმღები კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველზე.

3.3.1. პირი, რომელსაც მიენიჭება კინოაკადემიის მიერ დაწესებული პროფესიული ჯილდო, ხდება კინოაკადემიის წევრი მიმღები კომისიის გადაწყვეტილების გარეშე (თუ მანამდე არ იყო კინოაკადემიის წევრი) და მას არ მოეთხოვება მიმღები კომისიის დებულებით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

3.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები კომისია უარს იტყვის კანდიდატისთვის რეკომენდაციის გაცემაზე, კანდიდატი უფლებამოსილია უარის გაცნობიდან ერთი (1) თვის ვადაში გაასაჩივროს მიმღები კომისიის გადაწყვეტილება კინოაკადემიის გამგეობაში.

3.5. კინოაკადემიის წევრი იხდის წლიურ საწევრო შენატანს გამგეობის მიერ დადგენილი წესით.

3.6. კინოაკადემიის წევრს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ნებაყოფლობით გავიდეს კინოაკადემიის წევრთა რიგებიდან გამგეობისთვის წარდგენილი წერილობითი განცხადებით.

3.7. კინოაკადემიის საპატიო წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს კინოს ან ხელოვნების სხვა სფეროს ქართველი ან უცხოელი მოღვაწე, რომელსაც მსოფლიო ან ქართული კულტურის წინაშე მიუძღვის განსაკუთრებული დამსახურება.

მუხლი 4. კინოაკადემიის წევრების უფლება-მოვალეობები

4.1. კინოაკადემიის წევრს უფლება აქვს:

ა) მიიღოს მონაწილეობა კინოაკადემიის მმართველი ან სხვა არჩევითი ორგანოების წევრთა არჩევნებში და/ან თავად იქნეს არჩეული აღნიშნულ ორგანოებში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს კინოაკადემიის შემოქმედებით და ეკონომიკურ საქმიანობაში წინამდებარე წესდებით და გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულებებით დადგენილი წესით;

გ) ისარგებლოს ხმის მიცემის უფლებით კინოაკადემიის მიერ დაწესებული პროფესიული ჯილდოების მინიჭების პროცესში, გამგეობის მიერ დადგენილი წესით;

დ) მიიღოს კინოაკადემიის კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში პროფესიული, მატერიალური და სამართლებრივი დახმარება;

ე) ისარგებლოს კინოაკადემიის წევრებისათვის დაწესებული სოციალური და სხვა შეღავათებით;

ვ) წარადგინოს წინადადებები კინოაკადემიის მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით;

4.2. კინოაკადემიის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას კინოაკადემიის წესდება;

ბ) მიიღოს მონაწილეობა კინოაკადემიის შემოქმედებით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

გ) დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;

დ) გადაიხადოს საწევრო შესატანი გამგეობის მიერ დადგენილი წესით.

4.3. კინოაკადემიის საპატიო წევრი სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით. საპატიო წევრი არ იხდის საწევრო გადასახადს.

4.4. კინოაკადემიის წევრთა საქველმოქმედო დახმარება ხორციელდება გამგეობის მიერ დადგენილი წესით.

4.5. კინოაკადემიის წევრთა ნებისმიერ ჯგუფი, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, უფლებამოსილია შექმნას შემოქმედებითი ჯგუფი სპეციალიზაციის, შემოქმედებითი დარგების, მიზნობრივი პროგრამების, ან სხვა პრინციპების მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს რაიმე საერთო ამოცანას და არ ეწინააღმდეგება კინოაკადემიის ინტერესებს. შემოქმედებითი ჯგუფი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

მუხლი 5. კინოაკადემიის მართვა და ხელმძღვანელობა

5.1. კინოაკადემიის მმართველობითი ორგანოებია:

ა) კინოაკადემიის წევრთა ყრილობა;

ბ) კინოაკადემიის გამგეობა;

5.2. კინოაკადემიის საქმიანობას ხელმძღვანელობს კავშირის თავმჯდომარე (ამ წესდების მიზნებისთვის - „კინოაკადემიის პრეზიდენტი“), რომელიც იმავდროულად არის კინოაკადემიის გამგეობის წევრი და მისი თავმჯდომარე.

5.3. კინოაკადემიის ყველა ხელმძღვანელი, მმართველი და მაკონტროლებელი რგოლი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს ურთიერთშეთანხმებით, წინამდებარე წესდებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

მუხლი 6. კინოაკადემიის წევრთა ყრილობა

6.1. კინოაკადემიის მართვის უმაღლესი ორგანოა კინოაკადემიის წევრთა ყრილობა (საერთო კრება).

6.2. კინოაკადემიის გამგეობა მორიგ ყრილობას იწვევს 5 წელიწადში ერთხელ მაინც.

6.3. რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნეს კინოაკადემიის პრეზიდენტის, კინოაკადემიის წევრთა ერთ მესამედზე მეტის ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით ყრილობის დღის წესრიგის მითითებით, არაუგვიანეს მოთხოვნიდან 2 თვის ვადაში. მოთხოვნა რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს კინოაკადემიის საქმიანობაში აღმოჩენილ რაიმე მნიშვნელოვან დარღვევას, გადასჭრელ პრობლემატურ საკითხს ან სხვა საფუძვლიან მოტივაციას. ამ სახის ყრილობა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

6.4. გადაწყვეტილებას კინოაკადემიის ყრილობის მოწვევის შესახებ იღებს გამგეობა, ყრილობის მუშაობის დაწყებამდე არა უგვიანეს ორი თვისა. გამგეობა ამტკიცებს ყრილობის დღის წესრიგს და ჩატარების თარიღს. გამგეობის გადაწყვეტილება ქვეყნდება კინოაკადემიის ვებ-გვერდზე და/ან საჯარო საინფორმაციო საშუალების მეშვეობით. აღნიშნული თარიღის შესახებ კინოაკადემიის ყველა წევრს უნდა ეცნობოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით (წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, ან სხვ.) ყრილობამდე არა უგვიანეს ერთი კვირისა.

6.5. გამგეობის საქმიანობაში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი დარღვევებისას კინოაკადემიის პრეზიდენტი უფლებამოსილია ერთპიროვნულად ან სარევიზიო კომისიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე მოიწვიოს კინოაკადემიის რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც შეიძლება განხილულ იქნეს გამგეობის ვადამდე გადარჩევის საკითხი. საკითხის განხილვა შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობასთან, მათ შორის გამგეობის საქმიანობაში აღმოჩენილი მნიშვნელოვან დარღვევებთან ან გამგეობის წევრთა მხრიდან სხდომების ხშირი გაცდენის, ქვორუმის არარსებობის გამო გამგეობის სხდომის ზედიზედ ორჯერ ჩაშლის შემთხვევასთან, ან სარევიზიო კომისიის საფუძვლიან მოტივაციასთან.

6.6. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კინოაკადემიის წევრთა ნახევარზე მეტი.

6.7. ყრილობაზე დასწრება სავალდებულოა კინოაკადემიის ყველა წევრისათვის. იმ წევრებს, რომლებიც ცხოვრობენ ან დროებით იმყოფებიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ, შეუძლიათ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით (ტელეკონფერენცია). კავშირის წევრს, რომელიც საფუძვლიანი მიზეზის გამო არ მონაწილეობს

ყრილობის მუშაობაში, შეუძლია წერილობით მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა ან სათანადოდ დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე გადასცეს საკუთარი ხმა კინოაკადემიის სხვა წევრს.

6.8. ყრილობას ხსნის და უძღვება კინოაკადემიის პრეზიდენტი. მორიგ ყრილობაზე საარჩევნო კომისიის არჩევის შემდეგ ყრილობას უძღვება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

6.9. ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე ხმათა უმრავლესობით. კინოაკადემიის ქონების გასხვისებასთან, კინოაკადემიის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება კინოაკადემიის სრული შემადგენლობის ხმების ორი მესამედით.

6.10. ყრილობის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) კინოაკადემიის წესდების მიღება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა;

ბ) კინოაკადემიის ხელმძღვანელი ორგანოს - გამგეობის არჩევა და მისი რიცხოვნობის განსაზღვრა;

გ) კინოაკადემიის პრეზიდენტის არჩევა;

დ) სარევიზიო კომისიის არჩევა;

ე) კინოაკადემიის კუთვნილი ქონების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

ვ) წევრის კინოაკადემიიდან გარიცხვის შესახებ გამგეობის მიერ წარმოდგენილი წინადადების განხილვა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

ზ) კინოაკადემიის საქმიანობის შეწყვეტის (რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის) შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 7. კინოაკადემიის პრეზიდენტი

7.1. კინოაკადემიის პრეზიდენტი არის კინოაკადემიის ხელმძღვანელი, რომელიც წარმართავს კინოაკადემიის და მისი გამგეობის საქმიანობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს და პასუხისმგებელია გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

7.2. კინოაკადემიის პრეზიდენტს კინოაკადემიის წევრთა რიგებიდან 5 წლის ვადით ირჩევს ყრილობა, პირდაპირი ფარული კენჭისყრით ალტერნატიულ საფუძველზე, ხელახალი არჩევის უფლებით. პრეზიდენტის კანდიდატურის წარდგენა შეუძლიათ შემოქმედებით კავშირში გაერთიანებულ შემოქმედებით ჯგუფებს, აგრეთვე კინოაკადემიის ცალკეულ წევრებს. აკრძალულია წარმოდგენილი კანდიდატურის შეზღუდვა ასაკობრივი ან სხვა მოტივით.

7.3. ყრილობის მიერ არჩეული კინოაკადემიის პრეზიდენტი იმავდროულად ხდება გამგეობის წევრი და მისი თავმჯდომარე.

7.4. კინოაკადემიის პრეზიდენტი ერთპიროვნულად წარმოადგენს კინოაკადემიას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

7.5. კინოაკადემიის პრეზიდენტი ამტკიცებს კავშირის ადმინისტრაციის საშტატო განრიგს, ნიშნავს და ათავისუფლებს ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ს და კინოაკადემიის ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებს დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით, დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.6. საპატიო მიზეზის გამო კინოაკადემიის პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს ვიცე-პრეზიდენტი.

7.8. კინოაკადემიის პრეზიდენტი, გამონაკლის შემთხვევაში, უფლებამოსილია ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება საკითხზე, რომლის გადაწყვეტის დაგვიანებაც კინოაკადემიის საქმიანობას მნიშვნელოვნად დააზიანებს. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ კინოაკადემიის პრეზიდენტი აცნობებს გამგეობას.

7.9. კინოაკადემიის პრეზიდენტი ახორციელებს კანონითა და ამ წესდებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 8. კინოაკადემიის გამგეობა

8.1. კინოაკადემიის გამგეობა არის მართვის უმაღლესი ორგანო ყრილობებს შორის პერიოდში, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს კინოაკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის, ამ წესდებისა და ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. გამგეობას ირჩევს ყრილობა 5 წლის ვადით. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც, ახალი გამგეობის არჩევამდე.

8.2. გამგეობის სხდომები ტარდება კინოაკადემიის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით მინიმუმ წელიწადში სამჯერ მაინც, ან კინოაკადემიის ინტერესების შესაბამისად, მიმდინარე საქმიანობიდან გამომდინარე საჭიროებისა და აუცილებლობის შემთხვევაში.

8.3. კინოაკადემიის გამგეობა:

8.3.1. უზრუნველყოფს ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას; განიხილავს კინოაკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს და იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა აღსრულებას უზრუნველყოფს კინოაკადემიის პრეზიდენტი.

8.3.2. ამტკიცებს კინოაკადემიის მიმღები კომისიის შემადგენლობას და დებულებას.

8.3.2. ამტკიცებს კინოაკადემიის მიერ პროფესიული ჯილდოების გაცემის წესს და განსაზღვრავს კინემატოგრაფისტთა ნამუშევრების შერჩევის, ხმის მიცემისა და დაჯილდოების ცერემონიალის რეგლამენტს.

8.3.3. ამტკიცებს კინოაკადემიის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ წლიურ ანგარიშს და ხარჯთაღრიცხვას.

8.3.3. განიხილავს კინოაკადემიის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ მომავალი ყრილობის მასალებს და იღებს გადაწყვეტილებას ყრილობის მოწვევის თაობაზე.

8.3.4. ამტკიცებს კინოაკადემიაში საწევროს გადახდის წესს და ოდენობას.

8.3.5. მიმღები კომისიის წარდგენის შესაბამისად, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პირის კინოაკადემიის წევრად მიღების შესახებ.

8.3.6. მიმართავს ყრილობას წინადადებით წევრის კინოაკადემიის წევრობიდან გარიცხვის შესახებ.

8.3.7. ამტკიცებს კინოაკადემიის წევრებისთვის მატერიალური (საქველმოქმედო) დახმარების გაწევის მიზნით შექმნილი მუშა ჯგუფის შემადგენლობას და რეგლამენტს.

8.3.8. იღებს გადაწყვეტილებას კინოაკადემიის ფილიალის შექმნის, კინოაკადემიის წილობრივი მონაწილეობით იურიდიული პირის დაფუძნების და/ან კინოაკადემიის მიერ დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების თაობაზე, კინოაკადემიის მიერ უძრავი ქონების და/ან წილების/აქციების შექმნის შესახებ.

8.4. გამგეობა განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას სხვა მიმდინარე საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობა ყრილობებს შორის პერიოდში, ოპერატიულ გადაწყვეტას მოითხოვს და ამასთან, არ განეკუთვნება ყრილობის ან კინოაკადემიის პრეზიდენტის განსაკუთრებულ კომპეტენციას.

8.5. აუცილებლობის შემთხვევაში გამგეობა მიმართავს სარევიზიო კომისიას კონკრეტული საკითხის შესწავლისა და დასკვნის წარმოდგენის მოთხოვნით.

8.6. გამგეობა უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, მიიღოს გადაწყვეტილება კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, აგრეთვე კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნების შესახებ. კინოაკადემიის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების კაპიტალში კავშირის კუთვნილი ქონების შეტანის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ყრილობა ამ წესდების 6.9 პუნქტით დადგენილი წესით. საჭიროების შემთხვევაში, გამგეობა უფლებამოსილია ასევე მიიღოს გადაწყვეტილება კინოაკადემიის საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

8.7. გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარი მანძი; გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

8.8. კინოაკადემიის პრეზიდენტის, ასევე გამგეობის წევრთა ჯგუფის (არანაკლებ 5 წევრისა) წარდგინების საფუძველზე გამგეობა უფლებამოსილია კინოაკადემიის საპატიო წევრად აირჩიოს კანდიდატი.

8.9. გამგეობის წევრი ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა; გამგეობის წევრს, რომელიც საპატიო მიზეზით არ ესწრება სხდომას, ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს კინოაკადემიის პრეზიდენტს, მისი არყოფნის დროს – ვიცე-პრეზიდენტს.

8.10. გამგეობის წევრის გამგეობის სხდომაზე სამჯერ უსაფუძვლოდ გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კინოაკადემიის პრეზიდენტი უფლებამოსილია დასვას წევრის გამგეობიდან გარიცხვის საკითხი.

8.11. გამგეობა უფლებამოსილია კინოაკადემიის წევრის მიერ 1 წლის განმავლობაში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის, კავშირის ამოცანების განხორციელებაში მონაწილეობის მიუღებლობის, კინოაკადემიისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი მორალური და მატერიალური ზიანის და/ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძველების არსებობისას მოამზადოს და ყრილობას წარუდგინოს წინადადება წევრის კინოაკადემიიდან გარიცხვის შესახებ.

მუხლი 9. სარევიზიო კომისია

9.1. სარევიზიო კომისია არის კინოაკადემიის საქმიანობის შიდა მკონტროლებელი და ამავდროულად დამოუკიდებელი ორგანო 3 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ირჩევს ყრილობა 5 წლის ვადით.

9.2. სარევიზიო კომისია ვალდებულია ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში გამგეობას წარუდგინოს წლიური ანგარიში კინოაკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებით.

9.3. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს კინოაკადემიის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზია, შეამოწმოს კინოაკადემიის საქმიანობის შესაბამისობა წესდებასთან, ასევე კინოაკადემიის პრეზიდენტის და გამგეობის მიერ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება.

9.4. თავისი ფუნქციის სრულყოფილად შესრულების მიზნით, სარევიზიო კომისია უფლებამოსილია გამგეობასთან შეთანხმებით მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტი.

მუხლი 10. მიმღები კომისია

10.1. მიმღები კომისიის შემადგენლობას კინოაკადემიის პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა.

10.2. მიმღები კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, გამგეობის მიერ დამტკიცებული კომისიის დებულების საფუძველზე.

10.3. მიმღები კომისია განიხილავს განცხადებებს კინოაკადემიაში წევრად მიღების თაობაზე.

10.4. კომისია ვალდებულია საფუძვლიანად შეისწავლოს და გააანალიზოს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/მასალა მიმღები კომისიის დებულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

10.5. კომისია მისაღებ კანდიდატებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს რეკომენდაციის სახით წარუდგენს კინოაკადემიის პრეზიდენტს.

10.6. კინოაკადემიის პრეზიდენტი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს გამგეობას.

მუხლი 11. დახმარებების საკითხთა განმხილველი მუშა ჯგუფი

11.1. კინოაკადემიის წევრებისთვის მატერიალური (საქველმოქმედო) დახმარების გაწევის მიზნით კავშირის წევრთა შემადგენლობიდან იქმნება მუშა ჯგუფი, რომლის შემადგენლობას და რეგლამენტს კინოაკადემიის პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა.

11.2. მუშა ჯგუფი განიხილავს კინოაკადემიის წევრთა განცხადებებს, გამგეობის, კინოაკადემიის პრეზიდენტის და/ან წევრთა ჯგუფის ინიციატივებს მატერიალური დახმარებების გაცემის თაობაზე.

11.3. ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან გადაწყვეტილების მიღებისას მოითხოვონ და გაითვალისწინონ კინოაკადემიის პრეზიდენტის ინფორმაცია კინოაკადემიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

11.4. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება რეკომენდაციის სახით წარედგინება კინოაკადემიის პრეზიდენტს, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას კინოაკადემიის შესაძლებლობის ფარგლებში.

მუხლი 12. კინოაკადემიის ქონება და ფინანსები

12.1. კინოაკადემიის საკუთრებაში შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ქონება, მათ შორის: შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთი, წილი, ფასიანი ქაღალდები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება.

12.2. კინოაკადემია უფლებამოსილია საკუთარი ქონება გამოიყენოს საწესდებო მიზნების განსახორციელებლად (გადასცეს სარგებლობის უფლებით, გააქიროს, გასცეს იჯარით და სხვა). კინოაკადემიის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

12.3. კინოაკადემიის ქონებისა და ფინანსების ფორმირების წყაროა:

- ა) საწევრო შენატანები;
- ბ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები;
- გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები;
- დ) ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული შემოწირულობები;
- ე) გრანტები;
- ვ) კონოჩვენებებიდან, კულტურულ - გასართობი და სხვა ფასიანი ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლები.
- ზ) მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

12.4. კინოაკადემიის ცალკეული პროგრამა შეიძლება დაფინანსებულ იქნას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. ამ მიზნით გამოყოფილი თანხა არ შეიძლება დაიხარჯოს სხვა დანიშნულებით.

12.5. კინოაკადემიის ქონების გასხვისებასთან/ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით უფლებრივად დატვირთვასთან და/ან კინოაკადემიის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის კაპიტალში შეტანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება კავშირის სრული შემადგენლობის ხმების ორი მესამედით.

12.6. აკრძალულია კინოაკადემიის ქონების განაწილება კინოაკადემიის წევრებს შორის.

მუხლი 13. კინოაკადემიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

13.1. კინოაკადემიის რეორგანიზაცია (გაყოფა, გამოყოფა, შერწყმა, გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება კინოაკადემიის ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით ან კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი პირობების შესაბამისად.

13.2. ლიკვიდაციის შემთხვევაში ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა. განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას, სასამართლოს შეუძლია სხვა ლიკვიდატორის დანიშვნა.

13.3. აკრძალულია კინოაკადემიის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება მის დამფუძნებლებს/წევრებს, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

13.4. ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის შემთხვევაში კინოაკადემიის ქონება ნაწილდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. დამატებითი პირობები

14.1. თუ წესდების ერთი ან რამდენიმე დებულება დაკარგავს ძალას, ეს არ გამოიწვევს წესდების გაუქმებას.

14.2. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კინოაკადემიის წევრთა ყრილობის გადაწყვეტილებით.

14.3. წესდების ყველა ცვლილება და დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.

14.4. სარეგისტრაციო მონაცემების და რეესტრში შეტანილი სავალდებულო ფაქტების ცვლილება საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება ძალაში შედის მისი რეგისტრაციის თარიღიდან.